პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
18 ნოემბერი
№ 264 (17907)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენი პარტიული პლენუმის გადასახედიდან

ბოლოდ ექვსი კვირა გვაშორებს ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის დაბადებას, რასაც დიდი იმედებით შეხვდებიან მთელი საბჭოთა ხალხი. იგი ფეხს აიდგამს და მრავალ კეთილ საქმეთა კეთებას შეუდგება მეტად საინტერესო ნიადაგზე, ამ ბევრისმეტყველმა მეათე ხუთწლედმა რომ გაკეთა და გაამზადა.

ჯერჯერობით კი, მეათე ხუთწლედს, რომელიც უთუოდ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, კიდევ აქვს თავისი საზრუნავი და ზოგი რამ დასაგვირგვინებელი. და როგორც განვლილი უდიდესი დრო, ასევე დარჩენილი დამკვრელური დღეები საუკეთესო დასტურია ჩვენი პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგიის, ამ კურსის სიმართლისა და სისწორისა, რომ განუხრელად უმჯობესდებოდეს ხალხის კეთილდღეობა, იზრდებოდეს ქვეყნის ეკონომიკური, თავდაცვითი და სულიერი პოტენციალი.

ეს სწორედ ეს მიზანი და მისი პრაქტიკული შედეგი კიდევ უფრო ნათლად და ყველას თვალდასაწაბად გამოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მახალებში, რომლებსაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი გულმოდგინებით, ღრმა დაინტერესებით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგები. პლენუმმა დასახა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ამოცანები მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის და ახალ სამეურნეო წელს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად. პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. პლენუმისათვის წარდგენილმა ამ ვრცელმა და ღრმა, მეცნიერული ანალიზით აღსავსე მოხსენებამ მოიცვა არა მარტო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა უბანი და სფერო, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი. ამ თვალსაზრისით, უეჭველია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის მასალებსა და გადაწყვეტილებას საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება. პლენუმის მეორე დღეს გამართულმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგმა სესიამ განიხილა და დაამტკიცა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

ჩვეულებრივად შემოდგომის მიწურულს იმართება ხოლმე ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, რომლებზეც მომავალი წლის შედეგებს ჯამდებთ, მომავალი წლის საზრუნავსა და გასაკეთებელს ვსახავთ. მაგრამ ახლანდელი პლენუმის მნიშვნელობა სცილდება ამ ფარგლებს, იგი განსაკუთრებული, რადგან გაიმართა არა მარტო ორი წლის, არამედ ორი ხუთწლედის მიჯნა-შესაყარზე. ეს რატომ არის, რომ პლენუმმა სინამდვილეში შეაჯამა მთელი მეათე ხუთწლედის შედეგები და ამასთან თვალწინ გადაგვიშალა მომავალი ხუთწლედის ნათელი პერსპექტივები, დაგვისახა რთული და მასშტაბური, მაგრამ მეტად საპატიო ამოცანები.

პლენუმმა, რომელმაც დიდი საქმიანობის, გულადი ბჭობისა და ამასთან პრინციპული მომთხოვნელობის ვითარებაში ჩაიარა, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, ყველა მშრომელს მოუწოდა, რომ მთელ თავიანთ სადღეისო შრომა-მოღვაწეობას საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, ყველაფერი იღონონ, რათა წარმატებით დაგვირგვინონ მეათე ხუთწლედი, პირნათელნი შეხვდნენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, პარტიის XXVI ყრილობის წელს.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ! — აი პლენუმის დევიზი, მთავარი ფაზი, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა განვლილი მუშაობის შეფასებასა თუ მომავლის გეგმებს, ამა თუ იმ დარგისა და სფეროს შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვას.

ეს ჩვენი პარტიის პრაქტიკული საქმიანობის ქვაკუთხედია და სწორედ მომავალ ხუთწლედშიც ამ დიდი საზრუნავით, ამ შინაარსით იქნება აღსავსე მთელი მისი მოღვაწეობა. ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი გულისხმობს ფართო სასურსათო პროგრამას, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების მკვეთრ გადიდებას, სანიადაგ მშენებლობის გაფართოებას, დიდი ქმნის აღმავლობას.

ერთი სიტყვით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის სულისკვეთება ის არის, რომ ჩვენი რესპუბლიკა გაბედულად დაეკრდნოს უდიდეს საკუთარ გამოცდილებას ეკონომიკური და პოლიტიკური მუშაობის დარგში, რაც მან განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შეიძინა, კიდევ უფრო დაწინაურდეს საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით და დაიჭაროს ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესების პასუხსაგები პროგრამა.

დღეს უდიდესი კმაყოფილებით ვამბობთ, რომ დიდია ჩვენი რესპუბლიკის წვლილი მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებაში. ამის კარგი დასტურია როგორც უკანასკნელი ხუთი წლის, ისე სარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის პირველ წლის მუშაობის შედეგები. დღეს პირწავარდნილი ობივატელიც კი იძულებულია აღიაროს, რომ საქართველოს ეკონომიკა, 1972 წლიდან მოყოლებული, სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგის მიხედვით დინამიკურად და პროპორციულად ვითარდება, რომ ფასიერად სწრაფად იზრდება წარმოების ეფექტიანობა.

მეტად გულგასახარი ციფრები, რომლებიც პლენუმის მონაწილეებმა დასახელეს, იძლევა იმის უფლებას, რომ გაბედულად, სახალხოდ განვაცხადოთ: ჩვენი რესპუბლიკა, შეიჯერ ზედიზედ საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი საქართველო, მეათე ხუთწლედის გეგმას უთუოდ შეასრულებს, უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით კი ბევრადაც გადააჭარბებს მას.

მოდით, კარგად ჩავუკვირდეთ ამ მაჩვენებლებს: ეროვნული შემოსავალი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში, ერთ სულ მოსახლეზე ამ ხუთწლედში 38,6 პროცენტს მიაღწევს. ეს კი გაანგარიშებულ მონაცემებზე თითქმის 18 პროცენტით მეტია და 11,6 პუნქტით აღემატება მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ დონეს.

მეტად საგულისხმოა ის მონაცემებიც, რომლებიც წინასწარი შეფასებით, თვალნათლივ გვიჩვენებს ხუთწლედის მანძილზე საერთო-საკავშირო მაჩვენებლებში საქართველოს წილის ზრდას როგორც ეროვნული შემოსავლის წარმოების, ისე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მიხედვით.

ბოლო ხანს ხშირად ამბობენ, თითქმის მთელი რესპუბლიკა ხარაჩოებშიაო. ახეთი გამოთქმის საფუძველს იძლევა კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელება. მარტო ამ ხუთწლეულში 226 უმნიშვნელოვანესი მშენებლობა დამთავრდა. სულ ცოტა ხნის წინათ ამოქმედდა ენგურჰესის მეხუთე აგრეგატი, წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის ქიმიური ქარხნის ამიაკის წარმოებისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფერომანგანუმის სიმძლავრეები, მხუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები, მეცხოველეობის კომპლექსები...

დიდია, თვალსაჩინოა აღმასვლა სოფლის მეურნეობაში. მისი წამყვანი დარგების მშრომელებმა ხომ პირდაპირ რეკორდებით გაითქვეს სახელი: მეჩაიეობაში ნახევარმილიონიანი მოჯნის გადალახვა, 800 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძნის მოკრეფა და გადამუშავება, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქტების წარმოების ყოველწლიური ზრდა განაპირობა იმ დაუღალავმა ინიციატივიანმა და შემოქმედებითმა მუშაობამ, რომელსაც უკანასკნელი 8 წლის მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ეწევა. მოქმედების ნათელ ორიენტირებად კვლავ და კვლავ რჩება პარტიის თბილისის კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვა დადგენილებანი, რომლებიც გამხმოვანდა საბჭოთა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბეშმარიტად ლენინური ზრუნვითა და უყრადღებით.

სწორედ ამ ზრუნვისა და უყრადღებისათვის გულწრფელი მადლობის გამომხატველია ის პატრიოტული შემართება და გარჯილობა, რითაც ჩვენი მშრომელები ხუთწლედს ამთავრებენ, რითაც ისინი მომავალ, პარტიის XXVI ყრილობის წელს ეგებებიან. ყოველდღიურად ჩვენი ქალაქებიდან და სოფლებიდან, ცალკეული შრომითი კოლექტივებიდან გაისმის ხუთწლიანი გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პატაკები. სულ უფრო გახშირდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დროშების აღმართვა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პატივსაცემად. ხუთწლედის შესრულება სამშობლოს უკვე უპატაკა ოთხმა ქალაქმა და 30-ზე მეტმა რაიონმა, ათასობით მუშამ და მოსამსახურემ. ყირლობისწინა სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან თბილისელი მშრომელები, რომელთაც ჯერ კიდევ 12 სექტემბერს შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ხუთი წლის დავალება.

ძნელია ყველა წინმავალის ჩამოთვლა და აღნიშვნა. ბარაქალა მათ, ვინც კეთილსინდისიერად და ალალად ირჯება, ვინც ცოდნის, მონდომების, გამოცდილებისა და ენერგიის უშურველად იღვწის საერთო ხვავისა და დოვლათის გამრავლებისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით ქვეყნის წინსვლასა და ხალხის კეთილდღეობას ხმარდება!

წინ მეთერთმეტე ხუთწლედია. მალე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ძირითადი მიმართულებანი“. ახე რომ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, წინ გვიდევს დიდი და პასუხსაგები სამუშაო, რისთვისაც მარტო სამეურნეო საქმიანობის დონის ამაღლება როდი კმარა, საჭიროა კადრებისათვის ინიციატივის, გერგილიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვაც.

და ეს მით უფრო საჭიროა, როცა ეხოდენ თვალსაჩინო მიღწეულთან ერთად ჩვენი შრომისა და შენების ბევრ უბანზე სერიოზული დარღვევები და ხარვეზები გვაქვს, როცა ზოგ შრომითს კოლექტივში, სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონშიც კი უინიციატივოდ, უღიმღამოდ მუშაობენ, ვერ ხედავენ პერსპექტივას.

მაგალითად, განა შეუძლიათ გულმშვიდად იყვნენ გაზის მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროთა იმ საწარმოების ხელმძღვანელები, რომელთაც წლის დამდეგიდან გეგმის შესრულებას 2 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი დააკლეს?! ან როგორ შეიძლება აღგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ღრმად და სერიოზულად არ ჩაუფიქრდნენ პლენუმზე მოყვანილი იმ ფაქტს, რომ თიანეთის, თეთრი წყაროს, ადიგენის, დუშეთისა და სხვა რაიონებში დანაშაულებრივად დაბალია გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა უკუგება?!

სერიოზული პრობლემებია გადასაჭრელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ყველა რგოლსა და უბანზე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, განსაკუთრებული ღონისძიებები განხორციელდეს, რომ დროზე აღიკვეთოს ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში წლობით ფესვგადგმული ნაკლოვანებანი.

დიახ, განსაჯეთ და სამოკმედო მართლაც ბევრი გვაქვს. და სწორედ ამიტომ მეტად საშური საქმეა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის მასალებს ღრმად, საფუძვლიანად იცნობდეს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი, ყველა მშრომელი. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიური დარგის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაკებმა პლენუმებისა და უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების განმარტება მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ ამა თუ იმ ქალაქის, რაიონის, შრომითი კოლექტივის კონკრეტულ საბრძოლო ამოცანებს, მიაღწიონ, რომ თითოეულმა მშრომელმა ზუსტად იცოდეს თავისი ადგილი ჩვენი დიდი შრომისა და აღმშენებლობის საერთო მწყობრში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კატალიზური რეფორმინგის წამყვანი მუშაკები: უფროსი ოპერატორი ვ. რუსიძე, ოპერატორები ა. კაციტაძე, თ. წილოსანი პირველნი გამოეხმაურნენ პატრიოტულ ინიციატივას: „პარტიის XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა“. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან. მათთან ერთად შრომის კარგ მაგალითს იძლევა ქარხნის საქვაბეს მოწინავე მემანქანე მ. ლომთათიძე.



სურათებზე: ზემოთ, მარცხნიდან ვ. რუსიძე, ა. კაციტაძე და თ. წილოსანი, ქვემოთ მ. ლომთათიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

დიმიტროველთა შემართება

ბიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროში მწყობრში ჩადგა 18 სანგრევი, რომლებშიც შრომის ორგანიზაცია სანმუშოდ მოაწყვეს საექსპლოატაციო ცვლებმა. 14 ელმავალი და 500 ვაგონი ემსახურება მიწისქვეშა უბნებში მაგალითმის სპეციერო ბუნკერებამდე გამოზიდვას. ასე გულმოდგინედ და დარაზმულნი შრომობენ სამოთელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად.

დიმიტროველებმა ვადაზე ადრე გაანაღდეს ათი თვის დავალება. 5 უბანს, 22 ცვლისა და მადნის მამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივებს მინეჭებული აქვთ კომუნისტური შრომის სახელი, ხოლო 825 სამთოელი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

იმ 800 მაღაროელს შორის, რომლებიც კარგა ხანია მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ, უპირველესად ექსკავატორის მემანქანეს მიხეილ დეკანოსიძეს, მებიგე ფირუზ ჭოღლაძეს, მტვირთავი მანქანის მემანქანეს ოთარ კეკენაძეს ასახელებენ.

ო. ნიჟარაძე.

უდაბნო ოაზისი გაახდება

მშენებლებმა კოტეჯის გასაღები გადასცეს ახალდაქორწინებულებს ავთო ბერმამუკელსა და ნინო ბაფხოშვილს — ახალი სოფლის — უდაბნოს პირველ მუდმივ მცხოვრებლებს, სოფლისა, რომელიც საგარეჯოს რაიონის ადმინისტრაციულ რუკაზე გაჩნდა.

ჯერჯერობით მას ძველი სახელი — უდაბნო ჰქვია. მაგრამ განა ჩვენში ცოტაა იმის მაგალითი, თუ როგორ დაუკარგავს აზრი ერთ სახელწოდებას და როგორ წარმოქმნილა ახალი?

ალბათ უდაბნოც მალე დაკარგავს აზრს, რადგან აქ, ბოლოს და ბოლოს, მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც იციან, და რაც მთავარია, სურთ მუშაობა.

დღევანდელი უდაბნო ეს არის მხოლოდ ორი ფერმა — მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმები. აქ ადამიანები სეზონურად ცხოვრობდნენ — ზოგი ზამთრობით, ზოგი ზაფხულობით.

ეს არის ათასობით ჰექტარი გადახრუკული მიწა, რომელზეც პრაქტიკულად არაფერი არ ხარობს — აქ არ ყოფილა წყალი. აი რა არის უდაბნო.

დღეს კი აქ განუწყვეტლივ გუგუნებენ მანქანები — მოვიდნენ მშენებლები, რათა სოფელი ააშენონ. სახლი, რომელშიც ახალგაზრდა ოჯახი შესახლდა, უკვე აშენებულთაგან ერთ-ერთი პირველია. საცხოვრებელი სახლები — უწინარეს ყოვლისა! სასოფლო საბჭოს შენობის აგებაც კი არ დამთავრებულა, და დეპუტატები თავიანთ დამფუძნებელ სესიაზე სხვა ოთახში შეიკრიბნენ.

სესიაზე ძირითადად მომავალზე, იმაზე ბჭობდნენ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა რაც შეიძლება მალე შეეხსნა ზორცი გეგმებს.

გეგმები კი ძალიან დიდია. ავიღოთ თუნდაც მომავალი სოფლის იერი. სკოლა და სამბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი, სტადიონი და სპორტული მოედანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და საავადმყოფო. ქორწინების სასახლეც კი არ გამორჩენიათ, სოფელი ექვსასი კომლისათვის არის გათვალისწინებული.

. მიწა? იგი ხომ ჩვენი უმთავრესი სიმდიდრეა! მას სიცოცხლეს შთაბერავს წყალი, რომელიც სამგორის სარწყავი სისტემის არხი მოვა. შენდება სატუმბი სადგურები, რომლებიც წყალსაცავს მოაწესრიგებენ, გაჰყავთ სარწყავი არხების ქსელი.

მაგრამ უდაბნო მარტო ბაღვენახები როდი იქნება. აქ ძირითადად შეიქმნება მეცხოველეობის — მეღორეობისა და მეცხვარეობის კომპლექსები.

ყველაფერი ეს იქნება. იქნება იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანებს მუდამ ბოლომდე მიჰყავთ გეგმები, რადგან იციან, რომ ეს გეგმები მათი კეთილდღეობისათვის არის გათვალისწინებული.

ჯერჯერობით კი უდაბნოში გაიმართა სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს პირველი დამფუძნებელი სესია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ნ. ენუქიძე და ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

სესია გახსნა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ა. მეზვრიშვილმა. იგი დაწვრილებით შეეხო უდაბნოს წარსულსა და მომავალს, სამუშაოებს, რომლებიც უნდა შეასრულონ მშენებლებმა და ახალი დაბის მცხოვრებლებმა.

არჩეული არიან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

(საქინფორმი).

სურათზე: აეროდრომზე დახვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

ვიზიტი დაიწყო

17 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს მაშელი, რომელიც პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას მეთაურობს.

აეროდრომზე ს. მაშელს და დელეგაციის სხვა წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ფინეთის პრეზიდენტი გაემგზავრა

17 ნოემბერს ბაქოდან გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურჰო კეკონენი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა. (საკდესი).

სამშობლოს — ახალგაზრდების დამკვრელური შრომა

„ხუთწლედს — დამკვრელური ფინიშამ! სკკპ XXVI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“— ამ დევიზით შრომობს საყრილობო ვახტზე საბჭოეთის მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი. შეჯიბრების ფართო გაქანების შესახებ ილაპარაკეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 14 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში. პლენუმზე განიხილეს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან.

მოხსენება გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

პლენუმის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ წინადადებას მომზადდეს სკკპ XXVI ყრილობისათვის ლენინური კომკავშირის კოლექტიური პატაკი „ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ!“, და ქვეყნის ყველა კომკავშირელს სახელით სამშობლოს აღუთქვეს, რომ კომკავშირი კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

გულითადი სტუმარ-მასპინძლობა

აჭარაში თბილისის დღეების წინ

გული გაუხსნია სამხსპინძლოდ საქართველოს ერთ-ერთ წარჩინებულ კუთხეს. თბილისს მასპინძლობს აჭარა, დედათბილისს! „ამაყად ბრწყინავს ბათუმი, — მტერს პირში ბურთი ჩასჩარა, თამარის ღიმი კვლავ ჰყვავის, დღემდისაც ალარ დამჭკნარა! შვილი ვარ, განა მოსული, შორიდან გადმონაჭარად? შენს სიყვარულს და ტრფიალსა გულში ვიწურავ მაჭარად, გული ხარ საქართველოსი, მესხეთო, ჩემო აჭარა!..“.

ამ ეამინდელი შესანიშნავი ღონისძიება — თბილისის დღეები აჭარაში თუმცა ოფიციალურად დღეს იწყება, ბათუმში უკვე რამდენიმე დღეა საზეიმო განწყობილება სუფევს. ბევრი უკვე ჩამოვიდა თბილისიდან, ბევრიც დღეს შეუერთდება ზეიმის მონაწილეებს. აქ არიან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, დედაქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები და ამ დიდ დელეგაციას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მეხოეშაშვილი ხელმძღვანელობს.

— მართლაც რომ, დიდი სიხარული მოვიდა ამ დღეებში ჩვენთან, — გვეუბნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვახტანგ პაპუნიძე, — მრავალჭირნახული აჭარის მიწა თბილისის დღეების მონაწილეებს მასპინძლობს.

ეს შეხვედრები ერთგვარი ანგარიშიც იქნება თბილისელთა წინაშე, ანგარიში იქნება იმისა, რაც უდიდესი შრომის ფასად მოიპოვეს აჭარის მშრომელებმა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის და როცა ახლა ამ წარმატებათა გამო ჩვენი კუთხის ყველა კეთილსინდისიერი მშრომელი კარგ გუნება-განწყობაზეა, — თბილისელებთან ერთად ზეიმს რა სჯობია.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

„ვრცელია თბილისის დღეების პროგრამა. ბათუმში საფუძველი ჩაეყრება ილია ჭავჭავაძის ძეგლს, გაიხსნება აჭარის, მისი მშვენიერი ბუნებისა და ადამიანების ერთ-ერთი მეხოტბის, საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი, აჭარის მხატვართა საგამოფენო დარბაზში გაიხსნება თბილისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, გაიმართება ახალი ქართული მხატვრული ფილმის „კიკვიძის“ პრემიერა. დღეების მონაწილენი შეხვდებიან საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს მუშაკებს, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტებს, ქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე გამოვლენ ქართული კინოს ოსტატები, დელეგაციის წევრები ეწვევიან ბათუმის სამრეწველო საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო მუზეუმს და, რაც მთავარია, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებში შეხვდებიან მეციტრუსეებს, მეჩაიეებს, თამბაქოს, ვაზის ხელბარაქიან ოსტატებს.

თბილისის დღეები აჭარაში უკვე დაიწყო. მასპინძელთაგანი, ბათუმელი პოეტი მამია ვარშანიძე ლექსად გვეუბნება: „მესხი ვარ და ხელმადლიანს ეზო დამიმშვენებია, ნახე რა არ მაბადია, რა არ მომშენებია“.

მარადიული გაზაფხულის მხარის — აჭარის მშრომელები ასე გულგახსნილნი, შრომაში გამარჯვებულნი ეგებებიან ძვირფას სტუმრებს და საზეიმო განწყობილებაა აჭარის ზღვისპირეთიდან გოდერძის უღელტეხილამდე.

მ. გორგილაძე,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც კორეს-პონდენტები.

პარლამენტის მიწვევით

17 ნოემბერს მოსკოვიდან კოლუმბიას ამ ქვეყნის პარლამენტის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილის მეთაურობით. დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

აღმოვფხვრათ ნივრის წარმოება-დამზადებაში არსებული ნაკლოვანებანი

ერთვნული სამზარეულოს რომელი კერძი შეიძლება წარმოიდგინო კაცმა უნივროდ? და ბუნებრივია, რომ ქართველ გლეხკაცს ოდითგან მოპყავდა ნიორი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ რამდენიმე წლის წინათ, როცა ნივრის დეფიციტი წარმოიშვა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა ნივრის მარაგის შევსებისათვის და გამოყო ასიგნებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში ნივრის შესასყიდად. შემუშავდა რესპუბლიკის ყველა რაიონში ნივრის წარმოების განვითარების კონკრეტული პროგრამა, რამაც შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება ამ დიდმნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტით.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა ნივრის წარმოება, სოფლის მეურნეობის ამ დარგის გაძღოლას ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, უწინარეს ყოვლისა, ნივრის წარმოების მხრივ წამყვან რაიონებში — გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, დუშეთის, ზოგიერთ სხვა რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — შეასუსტეს კონტროლი ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი, ხოლო მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და სახეობათა მეურნეობის ხელმძღვანელებ.ი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ნივრის დამზადებას, რის შედეგადაც უხეშად ირღვევა ამ კულტურის თესვისა და მოსავლის აღების აგროვადები, არ არის უზრუნველყოფილი მისი სათანადო მოვლა. ამ მიზეზით რესპუბლიკაში სისტემატურად ვერ სრულდება ნივრის წარმოების და საზამთროდ შენახვის გეგმები.

ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ნივრით მშრომელთა მომარაგების სერიოზული შეფერხება, მისი ფასების მკვეთრი ზრდა საკოლმეურნეო ბაზრებში, საჭირო ხდება დიდძალი ნივრის შემოტანა როგორც სარეალიზაციოდ, ისე სათესლე მიზნებისათვის.

კერძოდ, 1979 წელს რესპუბლიკაში ნივრის წარმოების გეგმა შესრულდა მხოლოდ 50 პროცენტით, დამზადებისა კი 39 პროცენტით. სახელმწიფოს დააკლეს 1840 ტონა ნიორი და ძალულებული გახდნენ რესპუბლიკაში შემოტანათ 830 ტონა, რომლის ნახევარი სათესლედ იყო გათვალისწინებული. ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელებმა, მიიღეს რა ნიორი ჯიშთგანახლების წესით, სანაცვლოდ ლილოს კომბინატს არ ჩააბარეს თავისი პროდუქცია და გასაღეს იგი სავაჭრო ქსელის მეშვეობით და სხვა ორგანიზაციებისათვის მიწოდების გზით.

ზემოთ დასახელებული და სხვა რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა წელსაც ვერ უზრუნველყვეს ნივრის დროული თესვა, მოსავლის აღება და დამზადება. ამან გამოიწვია პროდუქციის დიდი დანაკარგები და წარმოების, დამზადებისა და ზამთრისათვის მისი შენახვის გეგმების შესრულების ჩაშლა.

ოპერატიული მონაცემებით, 1 ოქტომბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში საგეგმო 3500 ტონის ნაცვლად დამზადებული იყო 1308 ტონა, ხოლო შესანახად ჩადებული იყო 884,9 ტონა, გეგმა-დავალება კი 1200 ტონას ითვალისწინებს.

მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ რესპუბლიკური გაერთიანების „საქჯეშთესლმოსტნეულის“ სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებმაც 105 ჰექტარ ფართობზე აწარმოეს სულ 220 ტონა ნიორი, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერზე ნაკლები, მაშინ როდესაც რესპუბლიკაში ამ კულტურის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 25 ცენტნერს სჭარბობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ნივრის წარმოების, დამზადებისა და საზამთროდ შენახვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი და არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია მუშაობა, რომელსაც ეწევიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის, დუშეთისა და ნივრის მწარმოებელი სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

მიღებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომ 1981 წელს წარმოებულ იქნეს 4.600 ტონა და დამზადდეს 3.500 ტონა, აქედან საზამთროდ შენახულ იქნეს 1200 ტონა ნიორი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. შ. შ. ეცადაშვილს), რესპუბლიკურ აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანებას (ამხ. დ. დ. მაღალაშვილს), რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადებას“ (ამხ. ვ. ა. ფირანიშვილს), რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქჯეშთესლმოსტნეულს“ (ამხ. გ. ს. მორჩაძეს) დაეგალათ მკაცრი კონტროლი დაწწესონ ლილოს კომბინატში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსახმარად შენახული ნივრის დაცვა-შენახვასა და რეალიზაციის წესს. მათვე უნდა შეიმუშაონ ნივრის მოვლა-მოყვანით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების ამაღლების წინადადებანი.

იმის გამო, რომ დაუშვა ნივრის წარმოების, დამზადებისა და საზამთროდ შენახვის რესპუბლიკური გეგმების ჩაშლა, საგეგმო და საწარმოო დისციპლინის მესუსტება რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შორის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გააფრთხილა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. დ. გასანოვი და დაკისრა მას პერსონალური პასუხისმგებლობა ნივრის წარმოება-დამზადებისა და საზამთროდ შენახვის 1981 წლის საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის.

სპეციალიზებულ მეურნეობებში სათესლე მასალის დამზადების გეგმების შეუსრულებლობის დაშვებისათვის რესპუბლიკური გაერთიანების „საქჯეშთესლმოსტნეულის“ უფროსს ამხ. გ. ს. მორჩაძეს მიეთითა. მას დაეკალა გაძლიერეს მუშაობა, რათა უთუოდ შესრულდეს მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის წარმოება-დამზადების 1981 წლის გეგმები.

იმის გამო, რომ სისტემატურად იშლებოდა ნივრის წარმოება-დამზადების გეგმები, არ იყო უზრუნველყოფილი მიღებული პროდუქციის სათანადო აღრიცხვა, რაც ხელს უწყობდა მოსავლის დანიავება-დატაცებას, შესუსტდა საგეგმო და საწარმოო დისციპლინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შორის, კასპის სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი უ. გ. ქვრივიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ნივრის წარმოება-დამზადების გეგმების მნიშვნელოვანი მოცულობით უკმარსრულებისათვის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შორის დაბალი საგეგმო და საწარმოო დისციპლინის დაშვებისათვის გორის სოფლის მეურნეობის რაიონული გაერთიანების უფროსს ამხ. ზ. გ. მემანიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სუსტი ორგანიზატორული მუშაობისათვის, ნივრის წარმოება-დამზადების გეგმების სისტემატური შეუსრულებლობისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს შორის საგეგმო და საწარმოო დისციპლინის შესუსტებისათვის ხაშურის, ქარელის, დუშეთის რაიონული და სამხრეთ ოსეთის საოლქო სოფლის მეურნეობის სამმართველების უფროსებს ამხანაგებს ფ. ნ. გელაშვილს, ა. გ. ტაბატაძეს, ვ. ა. დინუაშვილს და ლ. პ. სანაკოევს გამოეცხადათ საყვედური.

ნივრის მწარმოებელი რაიონების პარტიულ კომიტეტებს დაევალათ განიხილონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ ხელმძღვანელთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მიზეზით იქნა დაშვებული ამ პროდუქტის წარმოება-დამზადების გეგმებისა და დამატებითი დავალებების სისტემატური შეუსრულებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოსთხოვა კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, დუშეთისა და ნივრის მომყვანი სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ საწარმოო კოლექტივებში პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა, მიაღწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა საგეგმო და საწარმოო დისციპლინის ამაღლების, საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის, მომდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1981 წლის მტკიცე საფუძვლის შექმნისათვის მათი პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აგრეთვე სხვა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ნივრის წარმოების, დამზადებისა და შენახვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად, განსაზღვრა რაიონების მიხედვით მისი წარმოებისა და დამზადების დაზუსტებული დავალებანი. (საქინფორმი).

შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი მოიწიეს კასპის რაიონის მეურნეობებში: ყოველ ჰექტარზე აქ უხვ მოსავალს იღებენ.

ქართლის ველის ყველა მეურნეობაში, რომლებმაც დაიწყეს შაქრის ჭარხლის ამოღება, შექმნილია მეჭარხლეთა სპეციალიზებული რაზმები და რგოლები. იამპოლელთა მაგალითისამებრ, შემუშავებულია მეჭარხლეთა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა თანამშრომლობის პირობები.

საქართველოს მეჭარხლეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მიიღონ 140 ათასი ტონა ნედლეული — გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტი.

სურათზე: კასპის რაიონის თიძამის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მეჭარხლე მანანა შაქარაშვილი მოსავლის აღების დროს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კარგ თაოსნობას-ფართო გავრცელება

„დამზადებულია თბილისში — დამზადებულია საუცხოოდ“ ასეთი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ნოემბრის პლენუმის წინ საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის წარმომადგენლებმა — ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ გამომშრელთა ბრიგადირმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. რიმნინსთაველმა, წინდის საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მკერავმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. პანკოვმა, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მოტორისტმა მკერავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ირემაშვილმა.

მეათე ხუთწლედის გვარდიელებმა, რომლებიც ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ქალაქის სამრეწველო საწარმოების ყველა კოლექტივს, მთელ შემოქმედებითსა და საშეცნიერო-ტექნიკურ ინტელიგენციას მოუწოდეს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება იმ უფლებისათვის, რომ თბილისელთა ხელით დამზადებული საქონელი აღნიშნონ პრესტიჟის ემბლემით. „დამზადებულია თბილისში“. ეს, ხაზგასმულია მიმართვაში, მარტო პრესტიჟის საქმე როდია. ეს მუშური ღირსებისა და სინდისის საქმეა, რესპუბლიკის დედაქალაქის თითოეული მშრომელის პატრიოტული ვალია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მოიწონა ეს ინიციატივა, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისის ბევრ საწარმოში. მიღებულ დადგენილებაში სახალხო დეპუტატთა ქალაქის და რაიონულ საბჭოებსა და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ყოველმხრივ მეუფყონელი იმას, რომ ფართოდ გავრცელდეს შრომის კოლექტივებში ეს თაოსნობა, ორგანიზატორული მუშაობა წარმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალი ფორუმების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისათვის.

სხდომაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საბტრედიისა და სიღნაღის რაიონები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 ივნისის დადგენილებას „სახალხო დეპუტატთა რაიონული, ქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლიორების ერთობლივი მეცადინეობით მიღწეული წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ადგილებზე უფრო სრულად და ეფექტიანად რომ იყენებდნენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, დღენიადაგ რომ ზრუნავდნენ ყოველი მუდმივი კომისიისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმიანობის გააქტიურების, მათი ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების დეპუტატთა ოთახების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები, რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სწავლების მდგომარეობა, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ კონტროლზეა მკითხველთა წერილები

ჟ. ჟუთაისის ერევნის ქუჩის მცხოვრებლებმა რედაქციას კოლექტიური სარჩევარი გამოუგზავნეს. იტყობინებოდნენ, რომ ხშირია ელექტრო- და წყალმომარაგებაში შეფერხებები, მოითხოვდნენ აგრეთვე ქუჩის მოასფალტებას. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ძოწენიძემ რედაქციას აცნობა:

აღმასკომმა ქ. ქუთაისის ერევნის ქუჩის მცხოვრებთა მოთხოვნა სამართლიანად ცნო და განახორციელა ღონისძიებები ელექტრო- და წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება ქუჩის მოასფალტებას, ბიტუმის ფონდის სიმცირის გამო ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ამჟერად არ ხერხდება. როგორც ადგილზე აღნიშნული ქუჩის შემოწმებამ ცხადყო, სხვა საგარეუბნო ქუჩების მსგავსად, იგი მოკირწყლულია, ამასთან შარშან შეაკეთეს და არავითარ შეფერხებებს არ უქმნის ტრანსპორტის მოძრაობას.

● ●

სალამოს საათებში ელექტროენერგიის ნაკლებობას და ამით გამოწვეულ სიძნელეებს შეეხებოდა სოფელ ქვიშხეთის კოშკისუბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება.

როგორც ხაშურის რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გოგლიძემ გვაცნობა, წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ელექტროტრანსფორმატორი და გამანაწილებელი თარო მიტანილია ადგილზე, მაგრამ დიდი ძაბვის გაყვანილობის პროექტის უქონლობის გამო ჯერჯერობით დაუმონტაჟებელია. ამის თაობაზე საკითხი დაისვა ზემდგომ ორგანოებში და აღნიშნული სამუშაოები შეტანილი იქნება 1981 წლის მშენებლობის გეგმაში.

მანამდე მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით კოშკისუბანში არსებული ტრანსფორმატორი შეიცვალა უფრო მძლავრი დანადგარით, რითაც თითქმის გაორკეცდა სიმძლავრე და ამჟამად ძაბვა ნორმალურია.

● ●

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლებმა რედაქციას აცნობეს, რომ წყალი არ ჰყოფნით და წყალსაფენის საექსპლოატაციო უბნის ხელმძღვანელობა არავითარ ზომებს არ მიმართავს მდგომარეობის გამოსასწორებლადო.

ბოდბისხეველთა საჩივარი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს. მიღებულ პასუხში აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. გოგინაშვილი გვატყობინებს:

ბოდბისხევში სტალინის ქუჩაზე თვეების განმავლობაში მოსახლეობა ვერ იღებდა საკმაო რაოდენობის სასმელ წყალს. განხორციელებული, კონკრეტული ღონისძიებების შედეგად აღნიშნული უბნის მოსახლეობა გრაფიკის მიხედვით შეუფერხებლად მარაგდება წყლით.

პარტიულ კონფერენციებზე

პარტიული კომიტეტების პლენუმები

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული მცხეთის რაიკომის პლენუმი. პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ა. ვ. ბარიხაშვილი**, მეორე მდივნად — **ზ. მ. ანთაძე**, მდივნად — **გ. ი. მორბედაძე**.

✦ ✦

საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული თიანეთის რაიკომის პირველი მდივნად არჩეულია **ი. ა. მერლანი**, მეორე მდივნად — **შ. ხ. მიდელაური**, მდივნად — **ნ. მ. შიომღვლიშვილი**.

✦ ✦

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული ქობულეთის რაიკომის პირველი პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ბ. ხ. ჯიქია**, მეორე მდივნად — **რ. კ. გუნთაშვილი**, მდივნად — **ნ. მ. დუმბაძე**.

✦ ✦

საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ხ. ჯ. ინაიშვილი**, მეორე მდივნად — **ნ. მ. გოგიტიძე**, მდივნად — **შ. ა. თურმანიძე**.

✦ ✦

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული ხულოს რაიკომის პლენუმი. პარტიის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **თ. ი. ტუნაძე**, მეორე მდივნად — **ი. რ. ხიმშიაშვილი**, მესამე მდივნად — **ე. რ. დეკანაძე**.

✦ ✦

საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული ჯავის რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. ა. ჩოჩიევი**, მეორე მდივნად — **ხ. ა. სანაკოევი**, მესამე მდივნად — **ზ. გ. ჯოლევა**.

(საქინფორმი).

ჯერ კიდევ წინა, 1978 წლის კონფერენციაზე გამოისახა ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც უფრო სოლიდურად ხუთწლედის საფინიშო წლის 1 ნოემბრისათვის — პარტიის XXVI ყრილობისწინა კონფერენციისათვის გამოიკვეთა.

მაშინ კონფერენციის თითოეულმა მონაწილემ კარგად იცოდა რაიონში შექმნილი ის მძიმე მდგომარეობა, რომლის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის დადგენილების შესასრულებლად პარტიის ყაზბეგის რაიკომის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“.

რაიონის ხუთივე კოლმეურნეობა ზარალიანი იყო. 1977 წელს მათი დავალიანება ბანკისადმი მოკლევადიანი კრედიტების დარგში 1.150 ათას მანეთამდე გაიზარდა.

ყოველწლიურად სახელმწიფოს ტონობით ხორცი, მატყლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები აკლდებოდა.

პარტიის რაიკომის და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ზერელე, ღრმა ეკონომიკური ანალიზს და დასაბუთებას მოკლებული დადგენილებები საქმეს, რასაკვირველია, ვერაფერს შველოდა.

ინერციის ძალა დიდია. წლების მანძილზე წამხდარი საქმის სასიკეთოდ შემობრუნება, ჩავარდნების წარმატებით შეცვლა არც ისე იოლი იყო, რაშიც რაიონის ახალი ხელმძღვანელობა და მათ გარშემო შემოკრებილი აქტივი მალე დარწმუნდა. ისედაც გართულებულ საქმეს კიდევ უფრო აუარესებდა მთის მძიმე რელიეფური პირობები, მკაცრი კლიმატი. ასე რომ, დროის არცთუ ისე დიდ მონაკვეთში — ერთი კონფერენციიდან მეორემდე გასაკეთებელი ბევრი იყო.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პირველმა მდივანმა გ. შიხაშვილმა გააკეთა, მოკლედ ითქვა, თუ კონკრეტულად როგორ გაუმჯობესდა რაიონის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, როგორ უმჯობესდება მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი კონკრეტული შედეგები მოჰყვა.

ყაზბეგის რაიონის ეკონომიკაში მომხდარ სასიკეთო ძვრებზე თუნდაც მარტო ის ფაქტი მეტყველებს, რომ ხუთიდან კოლმეურნეობამ ბოლო ორი წელი მოგებით დაამთავრა. წინასწარი მონაცემებით, ცნობილია, რომ შესრულდება ხორცის და მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ის კი არა, შარშან და წელს მატყლის დამზადების მარტო წლიური გეგმები კი არ შესრულდა, აღრინდელი ჩამორჩენაც დაძლეულ იქნა, რამაც ხუთწლიანი გეგმის შესრულების მტკიცე პირობა შექმნა.

შესრულდა სულადობის გეგმებიც.

თითქმის გადაიჭრა წლების განმავლობაში „აქილევსის ქუსლად“ ქცეული მწვავე პრობლემა — მწყემსთა შრომის ანაზღაურება, რომლის მოუგვარებლობა რაიონის ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვა — დაქირავებულ მწყემსებს კოლმეურნეობებმა ზედმეტად 150 ათასი მანეთი გადაუხადეს.

პლუს მთები და სალი კლდეები!

ზემდგომი ორგანოების დახმარებით რაიონში დაინერგა მწყემსთა შრომის ანაზღაურების ახალი მეთოდი — თუ ბრიგადა გეგმას შეასრულებს, მწყემსებს შექმნილი პროდუქციიდან გარკვეული პროცენტი ეძლევათ, ხოლო გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში — უფრო მეტი: ნაჭარბის 70 პროცენტი. საბოლოო ანგარიშით, თითო მწყემსი საშუალოდ 300 მანეთზე მეტ თვიურ გასამრჯელოს იღებს.

მწყემსებმა სიახლე მოიწონეს. ახალმა შრომის ანაზღაურებამ დაქირავებული მწყემსების საჭიროებაც მოსპო და დროებითის ნაცვლად მუდმივი ბრიგადების ჩამოყალიბების პირობაც შექმნა, რაც, თავის მხრივ, დარგის გაძღოლის უკეთეს პერსპექტივას ქმნის.

ითქვა ისიც, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე შარშან რაიონში პირველად მოიწეელა ცხვარი და 4 ტონაზე მეტი ყველი დამზადდა. სახელმწიფოს ჩაბარდა აგრეთვე 140 ტონა რძე, რომელსაც გეგმა არ ითვალისწინებდა, შეიძინეს 115 ფუტკრის ოჯახი. ეს ყველაფერი ერთგვარი ჩანასახები, პირველი მოსამზადებელი ნაბიჯებია იმ მომავალი დიდი საქმეებისათვის, რომლისთვისაც რაიონში ემზადება.

თუმცა მომხსენებელმაც და კამათში გამომსვლელებმაც საკმაოდ საფუძვლიანად გაანალიზეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული, ისაუბრეს იმაზე, თუ რა გაკეთდა პარტიის ზემოხსენებული დადგენილებიდან გამომდინარე წინა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ საპატიო ფორუმზე მიღწეულით თავმოსაწონებლად არავინ მოსულა. მთავარია რეზერვების ძიება, იმ რეზერვებისა, რომლებიც ბლომად გვაქვს, და რომელთა აუთვისებლობა უსაფუძვლო იქნებოდა იმ გრანდიოზულ ამოცანებთან შეჯიდება, რომელსაც მომავალი მეთერთმეტე ხუთწლედი დაგვისახავს. ამასთან კრიტიკისა და თვითკრიტიკის ტონმა, რომელიც ამ ბოლო დროს რაიონის კომუნისტთა თითქმის ყოველ შეკრებაზე დომინირებს ხოლმე, კონფერენციასაც მეტი ინტერესი შემატა. თვითკრიტიკულად ითქვა, მაგალითად, რომ თუმცა მეცხოველეობაში არსებული პრობლემების დასაძლევად ცოტა რამ არ გაკეთებულა (მაგალითად, აშენდა მწყემსთა საცხოვრებელი ბინები, კაპიტალური ფარეხები, დამონტაჟდა ცხვრის მექანიკური გასაბანელები, რომელმაც დიდძალი მუშახელი გამოთავისუფლა, უფრო ორგანიზებულად იზამთრებს ცხვარი და სხვ.), ეს მაინც ზღვაში წვეთია იმ სამუშაოებთან შედარებით, რომელიც მეცხოველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასაყვანად არის საჭირო. ამაზე დიდი რეზერვი კი დარგში არ არსებობს.

რაიონში რეალიზებული ცხვრის წონა გეგმით გათვალისწინებული 30-ის ნაცვლად 26 კილოგრამია. მარტო ამის გამო შარშან 150 ათასი მანეთი იზარალეს. აი, რამხელა რეზერვია ინტენსიური და საიალაღო სუქება!

რაც შეეხება მატყლის დამზადებას, ამ მხრივ ხარისხის სტანდარტების დაცვა მკვეთრად აამაღლებს მაჩვენებელს, რადგან ნაპარსი სხვადასხვა ფერის და ხარისხის მატყლი ერომანეთშია არეული, რაც მის გამოსავლიანობას ამცირებს.

საუკეთესო რეზერვად მიგვაჩნია, — თქვეს კამათში გამომსვლელებმა — ყიზლარის ზამთრის საძოვრების პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. ტოტოჩავამ, რაიონის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. სეთურიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. ტუჩაშვილმა, ყაზბეგის სადაბო საბჭოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ქირიკაშვილმა, — სასელექციო მუშაობის გაუმჯობესება, სანაშენო ბრიგადების შექმნა, მანქანა-იარაღის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა, მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, საკვების დროული მიტანა ყიზლარის ზამთრის საძოვრებამდე, ზუსტი აღრიცხვიანობა, ზოოვეტმომსახურების გაუმჯობესება. და მაინც, საკითხთა შორის მთავარი ძალუმად შეიგრძნობოდა — საქონლის ტრასაზე გადარეკვა. დიდი მანძილის გავლისას ცხვარი წონაში იკლებს, ჯანდაგდება. ამიტომ მისი რკინიგზით გადაყვანის ორგანიზება, რაც მარტო ადგილზე, ზემდგომი ორგანოების დაუზმარებლად ვერ მოგვარდება, უდიდეს ეფექტს მისცემს დარგს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კავშირგამოცდილების მინისტრმა ვ. კობახიძემ.

✦ ✦

ამ გოლო წლების მანძილზე ყაზბეგში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: მნიშვნელოვანი პარტიული ფორუმების წინ ხელმძღვანელი მუშაკები ადგილზე ხვდებიან მოსახლეობას — სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ხალხს. მათს სურვილებს, შენიშვნებს, წინადადებებს მაქსიმალურად ითვალისწინებენ. კონფერენციის წინ ასეთმა შეხვედრებმა ერთხელ კიდევ დაანახვა რაიონის ხელმძღვანელებს ამ ღონისძიებათა სისწორე.

რაიონის მოსახლეობამ მოიწონა ის, რომ ხალხიერების საქმიანი საამქრო მუშაობს და საკმაო წარმატებითაც. მოხვედ ქალთა ნოსტატარი მოსწონთ, მაგრამ ერთი პატარა საამქრო, ისიც დაქირავებულ ბინაში. საკმარისი არ არის. საჭიროა გაფართოვდეს იგი. ახალგაზრდობა უფროსი თაობისაგან ოსტატობას ითვისებს და დაუზარლად იყენებს. ასე დგება კიდევ ერთი სიკეთე ხალხის სამსახურში.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ერთმა კოლმეურნემ გულისტკივილით თქვა, რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე მშვენიერი ფერადი, საშენი და მოსაპირკეთებელი ქვა ყრია, რომელიც დამუშავების შემდეგ მშვენიერ მასალად იქცევა. წინადადებას ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. თქმა და კაკეთება ერთი იყო

სპეკულანტი—საზოგადოებრიობის სამსჯავროზე

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

როგორ პატიოსან ქართველ მშრომელს გაუხარდება ქვეყნის ქალაქების ბაზრებში ნახოს თანამემამულეები, რომლებიც ვაჭრობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და ამასთან ურცხვად აძრობენ ტყავს მყიდველებს, დაგეწყებული აქვთ კეთილმობილება, სიკეთე, ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციები.

რესპუბლიკისათვის ისტორიული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების გზაზე ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მონაპოვრად სამართლიანად არის მიჩნეული ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, სპეკულანტების, თაღლითების, იოლი გამდიდრების მოყვარულების, ყველა ჯურის მაქინატორების წინააღმდეგ ფართო შეტევის გამოცხადება, მათ ირგვლივ შეუწყნარებლობისა და ზიზღის ატმოსფეროს შექმნა. ამასთან ეს ბრძოლა წარმოუდგენელია ადამიანის — ნეგატიური მოვლენის მატარებლის წინააღმდეგ, არამედ ადამიანში უადამიანობის წინააღმდეგ, თვით ადამიანის ხსნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, უპატიოსნო ელემენტების მიერ შებღალული რესპუბლიკის პატიოსანი სახელი აღდგენილია.

მაგრამ უხეშში შეცდომა იქნება, თუ გაწეულ მუშაობას საკმარისად, უკვე დამთავრებულად მივიჩნევთ. იოლი გამდიდრების მოყვარულთა ფსიქოლოგია ადვილად არ ემორჩილება აღზრდა-გამოსწორებას, პირველად, მას ახასიათებს სიტუაციის შეგუების უნარი, იგი ჩასაფრებული ელოდება მომენტს, რომ კვლავ თავი წამოყოს. ამიტომ არც ერთი წუთით არ უნდა შეეანელოთ ბრძოლა ნეგატიური, ეკრძომსაკუთრული ტენდენციების მატარებელთა წინააღმდეგ. ეს აზრი ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲨᲠᲝᲛᲐ და შრომისმოყვარეობა ფრინველის ფრთებივით არის. სანამ ორი ფრთა აქვს, მსუბუქად და სწრაფად მიჰქრის ცაში, მოსტეხ ერთ ფრთას, და ფრინველი ქვესკნით დაენარცხება ძირს.

ასევე ადამიანიც. შრომა და შრომისმოყვარეობა ადამიანს ძალას, სილამაზეს ანიჭებს. მის გარეშე არ არსებობს წინსვლა.

დიდი ადამიანები ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მეტი შრომისუნარიანობა ახასიათებთ.

კარლ მარქსი ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარე ადამიანი იყო. 19 წლის მარქსი ანგარიშს წერილით აბარებდა მამას. იგი წერდა: სამართლის ფილოსოფია შევისწავლე, დავამუშავე 4.800 გვერდი, შევადგინე კონსპექტი და მთელი სისტემის სიყალბე აღმოვაჩინე, ახლა უნდა შევისწავლო ფილოსოფია და ყველაფერი ხელახლა გავაკეთოო.

მარქსი კითხულობდა ყველა ევროპულ ენაზე, უზადოდ წერდა ფრანგულად და ინგლისურად, მისი მშობლიური ენა კი გერმანული იყო. 50 წლის კარლ მარქსმა დაიწყო რუსული ენის შესწავლა და ექვსი თვის შემდეგ ულიქსონოდ კითხულობდა დიდ რუს მწერლებს პუშკინს და გოგოლს. რისთვის დასჭირდა რუსული ენის ცოდნა? გამოვიდა წიგნი რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ. მარქსს სურდა გასცნობოდა ამ წიგნს, თარგმანის შავნა კი შეუძლებელი იყო, და მან შეისწავლა ენა, რათა ეს წიგნი წაეკითხა.

აი, ერთი შტრიხი ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებიდან: მან ოცი ენა იცოდა. „ბუნების დიალექტიკას“ 13 წელი წერდა, წაიკითხა 90-მდე სამეცნიერო-ტექნიკურ წიგნი, გააკეთა ჩანაწერები 260 ნაშრომიდან და ყველაფერი ეს დასჭირდა მხოლოდ ერთი წიგნისათვის.

გავიხსენოთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მოღვაწეობა. „კაპიტალიზმის განვითარება“ რუსეთში“ რომ დაიწერა, მან წაიკითხა 500-ზე მეტი წიგნი და სტატია რუსულ და უცხო ენებზე, ხოლო როდესაც წიგნს წერდა იმპერიალიზმზე, წაიკითხა 148 წიგნი და 222 სტატია.

მოღვაწეობის ყველაზე დაძაბულ პერიოდშიც კი ლენინი არ წყვეტდა თეორიულ მუშაობას. 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტიკური რევოლუციის მზადების პერიოდში, მან დაწერა შრომები, რომელთაც შეადგინეს რვეული თხზულებების ოთხი ტომი — 1.700 გვერდის მოცულობით. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს, ეწეოდა რა უდიდეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას, ბელადმა . დაწერა შრომები 1.400 გვერდის მოცულობით. ისინი მოიცავენ რჩეული თხზულებების 3 ტომს. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობისას ლენინი თავმჯდომარეობდა სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 624 სხდომას. არასრული მონაცემებით დაწერა 5.400 და რედაქტირება გაუკეთა 500-მდე დოკუმენტს.

აი, როგორ შრომობდნენ ადამიანები, რომელთა ცხოვრება არა მარტო თანამედროვეობას, არამედ მომავალ საუკუნეებსაც ეკუთვნის.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: ვოლტერის დვიზი იყო: „მუდმივი მუშაობა!“ ბიუფონი ამბობდა: „გენია — ეს მოთმინებაა“, მოცარტი — „მუშაობა არის ჩემი უდიდესი სიამოვნება!“ ბეთჰოვენი წერდა: „არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ტალანტსა და შრომისმოყვარეობას უთხრას: „შესდექ“!

როდესაც მოშელესმა თავისი ფორტეპიანოზე გადატანილი ოპერა „ფიდელიო“ მიართვა ბეთჰოვენს, ბოლო გვერდზე ეწერა: „დასასრული, შეწევნითა ღვთისითა“. ბეთჰოვენმა წაიკითხა იგი და თავის მხრივ მიაწერა: „ო, ადამიანო, თვით უშველე თავსა შენსა“. ეს ყოო დევიზი, რომლითაც ხელმძღვანელობდა დიდი კომპოზიტორი მთელი ცხოვრების მანძილზე. ბახი საკუთარ თავზე ამბობდა: „მე შრომისმოყვარე ვიყავი და ის, ვინც ჩემსავით ბეჯითი იქნება, ისეთსავე წარმატებებს მიაღწევს, როგორც მე“.

კალდერონი და ლოპე-დე-ვეგა ყველაზე ნაყოფიერ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ერთმა მათგანმა ესპანურ ლიტერატურას შესძინა ორი ათასი, ხოლო მეორემ — ორ ათასზე მეტი დრამატული ნაწარმოები. ასი დრამა ლოპე-დე-ვეგამ ას დღეში დაწერა, ე. ი. თითოეულს ერთ დღეში წერდა. მათ ძალიან ადრე დაიწყეს წერა — ერთი ცამეტისა იყო, ხოლო მეორე თოთხმეტი წლისა. საინტერესოა ვალტერ სკოტი. მან დაწერა რომანების 74 ტომი, ლექსების 21 ტომი და 30 ტომამდე ისტორიული და ბიოგრაფიული თხზულება, მრავალი სტატია. მონტესკიეს დასჭირდა ოცდახუთი წელი „კანონთა სულის“ დასაწერად: თქვენ მას რამდენიმე საათში წაიკითხავთ, მე კი მასზე გაწეულმა შრომამ ჰაღორა გამიჩინაო, — თქვა მან შემდეგში. ბატმა პრეგომ ას სამოცდაათი ტომზე მეტი დაწერა, მათ შორის შესანიშნავი „მანონ ლესკო“.

შრომისმოყვარეობის ბრწყინვალე ნიმუშია მიქელანჯელო. მუშაობისას მცირედი პურით და ღვინით კმაყოფილდებოდა, ხშირად ღამითაც დგებოდა და მუშაობას განაგრძობდა. ასეთ შემთხვევაში იგი სანთელს იმაგრებდა ქუდზე და ამ შუქზე მუშაობდა, ხანდახან ქანცგაწყვეტილი გაუხდელი წვებოდა და ხანმოკლე ძილს შემდეგ ისევ მუშაობას იწყებდა. სიარული რომ აღარ შეეძლო, თავს მიაყენინებდა ხოლმე ბელფეტრეზე, სადაც მისი ქანდაკებები იდგა, ხოლო როცა დაბრმავდა, სასმოვნებას იმაში ნახულობდა, რომ ხელით ეხებოდა მათ. ტიციანი რვა წელი მუშაობდა ცნობილ ტილოზე „წმინდა მოციქული პეტრე“; ლეონარდო და ვინჩი ყველას ანცვიფრებდა თავისი შრომისმოყვარეობით. მისი უკვდავი პოემის თითოეულ სტრიქონში. შექსპირი, პეტრარკა, დანტე, გოეთე, ჰაინე, შილერი, ბალზაკი... ტიტანურ შრომას ეწეოდნენ. ბეგრი მწერალი ღამითაც არ კარგავდა საინტერესო აზრებს. ისინი დგებოდნენ ლოგინიდან, სანთელს ანთებდნენ და იწყებდნენ მუშაობას.

ლევ ტოლსტოი წერდა: „დამეტოვნეთ, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევთ უშრომლად; ს

- ფალკოტი იყო, უდაბნოდ იქცა
- იქნება ოაზისი ოცი წლის შემდეგ
- და მოგვცემს იგი უთვალავ ფარას, ბალებს, ვენახებს

გვიხმობს გარეჯი

გარეჯის უკაცრიელ ტრიალ ზეგანზე მიყუჟულა პატარა სოფელი უდაბნო. ამბობენ, ოდესღაც წალკოტი ყოფილა მისი მიწა, მაგრამ ქამთასვლას ფერფლი და ნაცარი უთოვია და ნათელ სანთელსაც დაუტოვებია იგი! შემოგვრჩა მონასტრები და მღვიმეები, დათხრილი თვალებით რომ უმზერდნენ თაობებს და შველას ითხოვდნენ.

ჩვენს დროში ეს შველა ჯერ კიდევ 1927 წელს მოვიდა, როცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ სოფელ უდაბნოში რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი მეცხვარეობის სპეციალიზებული მეურნეობა შექმნა. მეურნეობა აღორძინდა, მრავალჯერ მდგარა გამარჯვებულთა შორის და სახელიც გაითქვა იმით, რომ იქ გამოიყვანეს ქართული ნახევრად წმინდასაშუალინანი ჯიშის ცხვარი.

მაგრამ მაინც უცნაურად წარიმართა ამ სოფლის ბედი. ჩვენს დროშიც კინაღამ ჩაქრა მისი სიცოცხლე და არა იმიტომ, რომ მტერმა იავარქმნა, ანდა აქაურებმა თავიანთი კერა შეიძულეს, არა, უბრალოდ მოაკლდათ ის დახმარება, მხარდაჭერა და მზრუნველობა, რომელიც ესოდენ სჭირდება ადამიანს, დიდ საქმეს, მამულიშვილურ საქმეს რომ შერკინებია.

ერთ მშვენიერ დღეს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა გარდაბნის რაიონს გადასცეს, სოფელში მეურნეობის ადმინისტრაცია გააუქმეს, იგი ჯანდაბაში გადაიტანეს და სოფელი უმწყემსო ფარასავით დარჩა, დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

თანდათან დაიძრა ხალხი, გულისტკივილით ტოვებდნენ ამ კუთხეს უდაბნოელები, დაიხურა ბაგა-ბაღი, სკოლა, უპატრონოდ დარჩა წლების მანძილზე დიდი გაჭირვებით ნაგები საცხოვრებელი სახლები.

— სულ რაღაც ოციოდ წელიწადში სოფელი თითქმის დაცარიელდა, — გვეუბნება პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მეფა მეზრიშვილი, — 1950 წელს აქ თურმე 50 ოჯახი ყოფილა, 1975 წელს კი, როცა უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა საგარეჯოს რაიონს დავუბრუნეთ, უკვე 15 ოჯახიღა იყო, და იმათაც თვალი გაქცევიათ ეჭირათ. საჭირო გახდა გადამჭრელი ზომების მიღება...

რაიონის ხელმძღვანელობამ ზემდგომი ორგანოების დახმარებითა და მხარდაჭერით უდაბნოს აღორძინების ახალი გეგმა შეიმუშავა. უმოკლეს ვადაში გაიჭრა საგარეჯო-უდაბნოს შარაგზა, გადაიჭიმა მაღალი ძაბვის ხაზი, გაიხსნა სკოლა, ბაგა-ბაღი, სამედიცინო პუნქტი, ფოსტა, ბიბლიოთეკა, მაღაზია, ჰურის საცხობი, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტი, და ვინ იცის უკვე მერამდენედ აღდგა მკვდრეთით უდაბნო — სოფელი... თაკიანთ კერას კვლავ დაუბრუნდნენ მარტიაშვილები და ბარიხაშვილები, ქეხიყელაშვილები და ჯორჯოლაძეები, ბაფხოშვილები და მერაბიშვილები, სიმონიშვილები და აფციაურები, გიგაურები... ამ ხუთი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობამ ერთისამად იმატა და უდაბნოში დღეს უკვე 70 კომლი ცხოვრობს!

აი აქ, ამ მრავალჭირნახულ მიწაზე, სადაც ახალი სიცოცხლე ისადგურებს, გასულ კვირას დიდი ზეიმი იყო. სოფელში შეიქმნა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო — უდაბნოს სასოფლო საბჭოს აღმასკომი, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ უკაცრიელი კუთხის აღორძინების დიდ საქმეს, საგარეჯოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, მთელი რაიონის მშრომელები ასე ერთსულოვანი ენთუზიაზმით რომ შესჯიდებიან.

ეს ჯერ საქმის მხოლოდ დასაწყისია. სოფელი უდაბნო, რომლის მშენებლობის პროექტი უკვე მთლიანად მზად არის „საქკოლმშენპროექტის“ ინსტიტუტში, 2000 წლისათვის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი. დასახლება უნდა გახდეს რესპუბლიკაში. აქ 600 კომლი იცხოვრებს. ამჟამად კი მშენებლებს უკვე 22 სახლის საძირკველი ჩაუყრიათ, რამდენიმე სახლის კედლები ამოუყვანიათ, კიდევ რამდენიმე კი უკვე გადახურული, კარფაჯრებისმოდი დგას და ბინადრებს ელოდება.

ვინ იქნებიან ისინი? აქაური მკვიდრნი თუ თიანეთში დაბადებული ახალგაზრდა წყვილი ავთო ბერძამუკელი და ნელი ბაფხოშვილი, რომლებსაც კვირას საზეიმოდ გადაუხადეს კოქაკვშირული ქორწილი და ერთ-ერთი სახლის გასაღებიც გადასცეს, თუ შორეული საინგალოდან ჩამოსული ახალგაზრდები, ეს სულ ერთია, ყველა მათგანი მზად არის დიდი საქმისათვის, უდაბნოს ყამირის ასათვისებლად.

მათი ამ მზადყოფნის საერთო ეროვნული მხარდაჭერის ნეშმარიტი გამოხატულება იყოს ის, რომ გასულ კვირა დღეს უდაბნოში მოვიდნენ შამუელიანები არა მარტო საგარეჯოდან, არამედ დედაქალაქიდან, კახეთის, ქართლის რაიონებიდან, და ყველას პარტიულ თუ საბჭოთა მუშაკს, მწერალს, პოეტს თუ მსახიობს, სამეურნეო უწყების ხელმძღვანელსა თუ უბრალო კახელ მევენახეს ერთი მიზანი ამოძრავებდა — მხარში ამოუდგნენ, ზრუნვა და დახმარება, თანდგომა არ მოაკლონ ამ ადამიანებს, რომლებმაც რესპუბლიკის და საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელთა ამ დიდ ჩანაფიქრს ხორცი უნდა შეასხან.

— რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულია ჩვენი სოფლის და, რა თქმა უნდა, საბჭოთა მეურნეობის ზრდა-განვითარების კომპლექსური ღონისძიებები, — გვითხრა ამ მეურნეობის დირექტორმა ვ. ხარაშვილმა, — დაიწყო აუთვისებელი მიწების გასარწყავების სამუშაოები, რომელთა დამთავრების შემდეგ 8.000 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი შეგვემატება. უდაბნოში სამგორის სარწყავი სისტემიდან მოვა მტკვრისა და ივრის წყალი. განვითარდება მეკვნახეობა, მებოსტნეობა, აშენდება მეღორეობის უდიდესი კომპლექსი.

სოფელი უდაბნო წერტილია გარეჯის უკაცრიელ ზეგზე. მარტო უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია 40 ათასამდე ჰექტარ აუთვისებელ მიწას მოიცავს და მთელი ეს უზარმაზარი ფართობი მხოლოდ ერთი სოფლის სამკვიდროა. ათვისებული კი ძალიან მცირეა — ამჟამად სახნავ-სათესი 6.500 ჰექტარს თუ აღწევს.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ყველა უწყებასა და ორგანიზაციას, რომლებმაც ასე ახლოს მიიტანეს გულთან ეს საქმე და შესაძლებლობა მოგვცეს მოკლე ხანში დაგვემთავრებინა მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითად საქმეს შევდგომოდით. „საქმთავარწყალმშენის“ ორგანიზაციები ინტენსიურ სამუშაოებს განაგრძობენ იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში უკვე მწყობრში ჩადგეს სარწყავი კომპლექსის პირველი რიგი, რომელიც უდაბნოში წყალს მოიყვანს. მაღლობა უნდა ვუთხრათ „საქწყალპროექტის“ ინსტიტუტს, რომელმაც მშენებლებს მთელი საპროექტო დოკუმენტაცია დროულად ჩააბარა; უსასყიდლოდ დიდი სამუშაოები შეგვასრულეს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, „საქკოლმშენპროექტის“ ინსტიტუტის მუშაკებმა. მომავალი სოფლის მშვენიერი პროექტი სწორედ მათი ინიციატივით შეიქმნა.

...საგარეჯოდან უდაბნოსკენ მიმავალ ახალ გზაზე — ნატახტრის, გველწყაროს, ჩამძვრალის, შუაგორის მიდამოებში საშემოდგომო ჯეჯილი ბიბინებს. სახნავი წლიდან წლამდე ემატება გარეჯის მიწას, უდაბნო უკან იხევს, წყლის მაცოცხლებელი ძალა იმორჩილებს მას და შორს არ არის ის დრო, როცა იგი სიკეთეს ხვავით და ბარაქით გადაუხდის ადამიანებს.

მოვდიოდით საგარეჯოსაკენ და გვახსენდებოდა მწერალ რევაზ ინანიშვილის „იტყვენი, უდაბნოში ზეიმზე რომ წარმოსთქვა: აქ, ამ მიწაზე ქართველმა კაცმა თუნდაც მანქანითაც რომ აიქროლ-ჩამოიქროლოს და ისე იყიქნოს, თავისთვის, ეს ყიქინაც კი იქნებ გარკვეული ძალა აღმოჩნდეს ჩვენი ამ საქვეყნო საქმის მტრის თვალების დასათხრელად. მჯერა, რომ მუდამ კეთილეთი იქნებიან მოხსენიებული ადამიანები, რომლებმაც აქ პირველად ბარი დაჭკრეს, პირველი წყალი გამოიყვანეს.

ეს ის ადგილებია, საიდანაც აღმოსავლური უდაბნო უტევს ჩვენს ბაღებსა და ვენახებს, ეს ხომ ერთი იმ ადგილთაგანია, რომლის დაუსახლებლობასაც ოდითგანვე ესწრაფოდნენ მომხდურნი, რომ დაუბრკოლებელი გზა ჰქონოდათ თბილისამდე. აქ დასახლებით გაგრძელდება დიდი საქმე, რომელიც რუსთაველ და სამგორით, ვარკეთილით და ვაზიანით, სოფლებით — მშვიდობითა და გამარჯვებით დაიწყო...

ახალი სოფელი ძველ ნაფუძვარზე შენდება. ეს არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცა. აქ აღმოჩენილი განძი იმაზე მიუთითებს, რომ აქ ვაზი ხარობდა, მამულის დიდებისათვის იბრძოდნენ ადამიანები. ამ განძის ნაწილი — წინაპართა კვერთხი ამირიდან სიმბოლურად რელიკვიად დარჩება სოფელ უდაბნოში. აქაურ თავკაცებს იგი საზეიმო ვითარებაში გადასცა გარეჯის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა პროფესორმა კიაზო ფიცხელაურმა.

ოდესღაც, დაახლოებით ათას ხუთასი წლის წინთ, როცა აქ დიდი დავით გარეჯელი და მისი მოწაფე ლუკიანე მობრძანებულან, გაზაფხული ყოფილა. კარგა ხანს იკვებებოდნენ თურმე ბალახებულახით, მაგრამ მერე, როცა ზაფხულის გვალვა ჩამომდგარა და ის ბალახეული გადაუწვავს და გადაუბუგავს, დავითს და ლუკიანეს მხსნელად მოვლენია სამი ნუკრანი ფურარემი და მათი რძით გაჰქონდათ თავი თურმე მეუდაბნოებს.

ასეა, პირველ ხანებში შეიძლება ჩვენც გაგვიჭირდეს, მაგრამ ჩვენთანაც მაშინვე უეჭველ დაუყოვნებლივ მოვა დახმარება ჩვენი მეცნიერების, მძლავრი ტექნიკის სახით, რამეთუ გარეჯის უდაბნოს ათვისებას და საერთოდ დაცარიელებული სოფლების აღორძინებისათვის მოღვაწეობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ეროვნულ საქმედ თვლის და გმირობად მიიჩნევს...

გუშინ ჭერემი გვიხმობდა, დღეს კი უდაბნოს ყამირი გვიხმობს, გვიხმობს გარეჯის ზარები...

რ. ჯელიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათებზე: ზემოთ — ორმაგი ბედნიერების დღე იყო გასული კვირა უდაბნოელი ახალგაზრდებისათვის — ნელი ბაფხოშვილისა და ავთო ბერძამუკელისათვის. მათ კოქაკვშირული ქორწილი გადაუხადეს ახალაგებული ორსართულიან ოთხოთახიან სახლში. ახალდაქორწინებულებმა სხვა საჩუქრებთან ერთად მიიღეს აკვანი, რომელიც მათ უდაბნოელმა რვა შვილის მამამ ავთანდილ მიქელაშვილმა გადასცა. დაილოცა ახალი ფუძე; შუაში — სახელგახელოდ მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჭხატვრული კოლექტივები; ზეიმის მონაწილენი.

ვ. გენგიურის ფოტო.

მთაში ექიმი ავიდა...

ოთხი წელიწადია, თვე ისე არ გაივლის, რომ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრისა და ბავშვთა მეორე კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები დუშეთის რაიონის სოფლებს არ ეწვევინ. ისინი შეფობას უწევენ რესპუბლიკის ამ მთის რაიონის ბავშვებს, მუდმივად მეთვალყურეობენ მათს ჯანმრთელობას.

დედაქალაქის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ამ კეთილშობილურმა თაოსნობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. განვლილი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი რაიონის სოფლებში; ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად იკლო მძიმე დაავადებათა შემთხვევებმაც.

და მაინც, დუშეთის რაიონის ბავშვთა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში კვლავ არის მთელი რიგი სიძნელეები. ამიტომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრამ და ბავშვთა მეორე საავადმყოფომ პარტიის დუშეთის რაიონულ კომიტეტთან და რაისაბჭოს აღმასკომთან, რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

კერძო დიდი დახმარება გაუწიეს შეთის რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებას, აქ მოეწყო სამანიულაციო და ინტენსიური თერაპიის კაბინეტები, დამონტაჟდა ელექტრო და ვენტროკარდიოგრაფები. ამ ახალი აპარატურის გამოყენებას ხელმძღვანელობს ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის ორდინატორი გ. ჩახუნაშვილი.

განყოფილება აღიჭურვა აგრეთვე ზოგიერთი ახალი ხელსაწყოთი, მისმა გამგემ მ. ადუაშვილმა კი თბილისში ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იმუშავა კარგა ხანს და აქ დაეუფლა ავადმყოფ ბავშვთა მკურნალობის მთელ რიგ მეთოდებს.

გადაწყდა აგრეთვე, რომ აღნიშნულ კათედრას თვეში ერთხელ ორი-სამი დღით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან შემდგარი რამდენიმე ჯგუფი გაეგზავნა დუშეთში და მის მაღალი მთის სოფლებში.

კათედრისა და ბავშვთა მეორე საავადმყოფოს მუშაკები ამ ვალდებულებების ერთგულნი დარჩნენ. ისინი პირნათლად ასრულებენ მოვალეობას. კათედრის თანამშრომლებმა: დოცენტმა ი. ციცეშვილმა, ასისტენტებმა თ. მარინაშვილმა, ნ. უბერმა, ლ. კომშიაშვილმა, ზ. მუმლაძემ ბავშვთა მეორე საავადმყოფოს მუშაკებმა: მთავარმა ექიმმა თ. ასათიანმა, მთავარი ექიმის მოადგილემ სამკურნალო დარგში დ. ლეონიძემ, ლარინგოლოგმა ო. კეკნაძემ, ნევროპათოლოგმა ტ. სარქისიანმა, ქირურგმა გ. გაბუნიამ დუშეთის სოფლები უკვე რამდენჯერმე მოიარეს.

ამ ერთი თვის წინათ ჯგუფები კვლავ ესტუმრნენ დუშეთის რაიონს, ამჯერად ექიმ-სპეციალისტთა მარშრუტი რაიონის ყველაზე შორეულ სოფლებზე გადიოდა. ჩვენმა ბრიგადამ მუშაობა დაიწყო სოფელ ბარისახოში, სადაც გავსინჯეთ ბარისახოს სკოლა-ინტერნატის 250 მოსწავლე. კონსულტაცია ჩაუტარდა აგრეთვე სოფლების გუდანის, ხახმატის, ოროკის, ბარისახოს სხვადასხვა ასაკის ათობით ბავშვს.

ინტერნატის მოსწავლეთა შორის გამოვლინდა მთელი რიგი დაავადებანი: სკოლიოზი, კოლაგენოზი, რევმატიზმი, გულის თანდაყოლილი მანკი, ბრონქული ასთმა, კვანძოვანი ჩიყვი, შაქრიანი დიაბეტი და სხვა. ეს ავადმყოფები მოწვეულნი არიან და გამოკვლევას გაივლიან კათედრის ბაზებზე ბავშვთა მეორე, რკინიგზა, ბავშვთა და ბავშვთა მესაზ. საავადმყოფოს შესაბამის განყოფილებებში.

ბრიგადამ იმუშავა აგრეთვე სოფელ შატილში, სადაც მაღალკვალიფიციურ ექიმ-პედიატრს აქამდე ფეხი არ დაუდგამს. აქ გამოვლინდა ნივთიერებათა ცვლის კონსტიტუციური მოშლილობით (გალაქტოზემია) დაავადებული 5 ბავშვი ერთი ოჯახიდან — ყველანი უსინათლო. ისინი დაღუპული მწყემსის შვილები არიან და მათ მარტოხელა დედა უვლის. ბავშვები აქამდე ექიმს არ გუსინჯავს და, ბუნებრივია, არც სათანადო სამედიცინო გენეტიკური კონსულტაცია ჩაუტარებიათ. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს ამ ინვალიდი ბავშვების შრომითი მოწყობის საკითხიც.

ჩვენი ჯგუფების მუშაობამ დუშეთის რაიონში მთელი რიგი საკითხები გამოავლინა, რომელთა გადაჭრა აუცილებელია და კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაითვალისწინებს უახლოესი მომავლისათვის. კერძოდ, საჭიროა დუშეთის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებას დაემატოს ორდინატორი ნახევარი შტატით, ფასანაურის საავადმყოფოში და საექიმო უბანზე დაინიშნოს ექიმი-პედიატრი, რომლის ადგილიც ვაკანტურია, სოფელ ბარისახოში დაინიშნოს პედიატრი, აქვე უნდა გაიხსნას აფთიაქიც, რადგან დაბა ყინვალიდან შატილამდე არც ერთი აფთიაქი არ არის, აღნიშნული ხელობა კი წელიწადში 6 თვეს არის რაიონულ ცენტრს მოწყვეტილი. საჭიროა აგრეთვე დიდი მუშაობა გაჩაღდეს მოსახლეობაში სანიტარიული განათლების დონის ამაღლებისათვის.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები დასახა საქართველოს მთის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დიდი მუშაობა მომდინარეობს ჩვენი მთის სოფლების ასაღორძინებლად, ამიტომ ქალაქის ჯანმრთელობის მუშაკთა გასვლას სოფლის მოსახლეობაში დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მოთხოვნის პასუხია ჩვენი კათედრისა და ბავშვთა მეორე საავადმყოფოს მუშაკთა ეს თათბირაობა.

ი. კვაშაძე,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის გამგე.

„საცაა მოვა ზამთარი...“

მიიწურა მართლაც ბარაქიანი შემოდგომა. მოიპარეცა ზამთარი. გაყვითლდნენ ჭადრები და გამხმარ ფოთოლს ახმაურებს ცივი სიო.

დედაქალაქი ზამთრისათვის ემზადება.

ზაფხულში იქნებ არც ეკითხათ გლდანის დასახლებაზე მშენებარე ობიექტზე მოფუსფუსე მუშებისათვის აქაურებს — როდის დამთავრებთ მშენებლობასო, — მაგრამ დღეს ყველას აინტერესებს ახალი საქვაბე როდის ჩაგვება მწყობრში.

მშენებლები ჩქარობენ, ზამთრის სეზონის დადგომისათვის ქვაბების დამონტაჟებასაც უნდა მორჩნენ და მათი ექსპლოატაციაში გაშვებაც მოასწრონ.

— ეს საქვაბე 50 გეკაკალორიის სიმძლავრისაა, — გვეუბნება თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ „ინჟმშენის“ № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი, გამოცდილი ინჟინერი ოთარ ლეჟავა. — იგი მოემსახურება გლდანის, კონიკის ქარხნის დასახლებებისა და ავჭალის გზატკეცილს ამ მონაკვეთზე მცხოვრებლებს. ამის. პარალელურად სამმართველო აშენებს ახალ, 30 გეკაკალორიის სიმძლავრის საქვაბეს ვარკეთილის მასივში და აფართოვებს პავლოვის ქუჩაზე მდებარე № 1 თბოსადგურს, სადაც 50 გეკაკალორიის სიმძლავრის ახალი ქვაბი დამონტაჟდება. აღნიშნული ობიექტების მწყობრში ჩადგომით დედაქალაქის ათასობით ოჯახს გაუუმჯობესდება გათბობა და ცხელი წყლით მომარაგება.

უკვე დამთავრდა თბოქსელის მშენებლობა პირველი საქვაბიდან პავლოვის ქუჩისა და ვაჟაფშაველას პროსპექტის მიმართულებით. მწყობრშია აგრეთვე 1100 მეტრი სიგრძის თბოქსელი გორგასალის ქუჩაზე, მალე დამთავრდება მაგისტრალური თბოქსელის მშენებლობა ვაზისუბნის ახალ დასახლებაში, რომელიც III, IV და V კვარტალებს მოემსახურება.

წინა წლებში იყო შემთხვევები, როდესაც გაზის შემცირების გამო მცირე ხნით, მაგრამ მაინც შეფერხდა დედაქალაქის ზოგიერთი უბნისა და რაიონის გათბობა და ცხელი წყლით მომარაგება. ამჟამად სამმართველო ცენტრალურ საქვაბეებთან ამთავრებს სამაზუთო ავზების შენებლობას, სადაც შეინახება 11 ათასი კუბური მეტრი თხევადი საწვავის მარაგი. მას შეუძლია ორი კვირის მანძილზე უზრუნველყოს დედაქალაქის გათბობა და ცხელი წყლით მომარაგება.

ყოველივე ამ სამუშაოებს უნარიანად უძღვანიან უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები ა. გვიორაძე, ა. ბოჭაძე და რ. მაჩიტაძე. მოწინავეთა რიგებში არიან ა. დემურაშვილის, გ. მურჯიკნელის და ს. ჯეირანოვის ბრიგადები. კარგად შრომობენ შემდეგ ადგილებში: თ. ნადირაძე, დ. ბედოევი, გ. მაქსიმოვი, რ. ბანეთიშვილი და სხვები.

დიახ, ჩვენს დედაქალაქში გასული ზამთრის გასვლისთანავე დაიწყო მომავალი სეზონისათვის მზადება. დღეისათვის ექსპლოატაციაში მყოფი ოცდაცხრამეტი-ვე სარაიონო და კვარტალურ თბოსადგურსა და 650 კილომეტრის სიგრძის თბოქსელში უკვე დამთავრდა პროფილაქტიკა, 125 არსებული ქვაბ-დანადგარიდან 50 კაპიტალურად შეკეთდა. ამასთანავე ობიექტების დიდი ნაწილი დაკომპლექტდა ახალი ტუმბო-აგრეგატებით, გაიზარდა! გამწოვ-შემბერი მოწყობილობების სიმძლავრე, 36ნშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შესრულდა არსებული თბოქსელის შეცვლა-განახლების საქმეში. თუ; გასულ წელს 12 კილომეტრი თბოქსელი შეიცვალა, წელს განახლდა 15 კილომეტრი. მაგისტრალურ თბოქსელზე გადაერთებით ბოლო პერიოდში გაუქმდა 8 მცირე წარმადობის საქვაბე, ხოლო სეზონის დამთავრებამდე გათვალისწინებულია კიდევ 4 ინდივიდუალური საქვაბის გაუქმება.

— ზამთრის სეზონისათვის მზადება სხვა სამუშაოსაც მოიცავს, — გვითხრა თბილისის კომუნალური გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ჯიმშერ კურდღელაშვილმა. — წყალმომარაგებასა და ელექტრომეურნეობაში შეფერხებების დაძლევა ზამთარში გაცილებით ძნელია, ამიტომ ამთავითვე ყველაფერი წესრიგში უნდა ვიქონიოთ, რომ უსიამოვნება თავიდან ავიცილოთ.

დედაქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შესრულდა ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთაგანაც აღსანიშნავია არაგვის ხეობაში ახალი წყალსაცავ-სალექარის აშენება. მისი საერთო მოცულობა 700 ათასი კუბური მეტრია. არაგვის ხეობის სათავე ნაგებობებზე აშენდა აგრეთვე სამი დამატებითი საიმფილტრაციო მოედანი და ლამისაგან გაიწმინდა 24 მოედანი. მოეწყო წყალშემკრები კოლექტორები, რომელთა საერთო სიგრძე 2.300 მეტრია.

ყოველივე ამის შედეგად თბილისი დამატებით 900 ლიტრ წყალს მიიღებს წამში.

ზამთრის სეზონს კარგად ხვდებიან ელექტროქსელის მუშაკებიც. შეკეთდა 213 სატრანსფორმატორო ქვესადგური. ექსპლოატაციაში შევიდა 9 ახალი საკაბელო ხაზი. 110 საკაბელო ხაზი შემოწმდა და შეკეთდა. 80 კილომეტრამდე საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზზე შეიცვალა მწყობრიდან გამოსული საყრდენები, დამთავრდა 47 კილომეტრის სიგრძის ძალოვანი კაბელის დამონტაჟება. ჩვენმა მუშაკებმა განსაკუთრებით იზრუნეს, რათა ზამთრის პერიოდში საბავშვო-სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში არ იყოს შეფერხებები ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში.

უკანასკნელ წლებში თბილისს უხვი თოვლი შემოეჩვია. იყო შემთხვევები, როდესაც დიდთოვლობას დედაქალაქის რიგ ადგილებში ტრანსპორტის მუშაობა შეფერხებულა ან და სრულიად შეწყვეტილა. ავტოსაგზო შემთხვევებიც ხომ გაცილებით ხშირია ძლიერ ბაზაზე.

— „ამ ზამთრის საგრძნობლად მომზადებოლნი შეეხვედნენ ამ ავარიებს, — გვითხრა ქალაქის დედაქალაქის კეთილმოწყობის დამოუკიდებელი. — ამჟამად ქალაქში 240 ერთეული ... 3620 ... ტრაქტორი ზომის თოვლის საფხეკია მწყობრში, შარშანდელთან შედარებით მათი რიცხვი 1050 ერთეულით გაიზარდა. მათ გარდა დედაქალაქის ქუჩებს თოვლისაგან გაწმენდს 30 (შარშანდელთან შედარებით ხუთით მეტი) მომრწყველ-მომრეცხავი მანქანა, რომელთაც დიდთოვლიანობისას დამატებითი ცოცხები და გუთნები გაუკეთდება. საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ გზაზე მოსაყრელი მოცურების საწინააღმდეგო ნიდაო და ტექნიკური მარილი, რომელიც აჩქარებს თოვლის გალეხობას“.

...ზამთრისათვის ემზადება დედაქალაქი. თუმცა ყველაფერი წესიერად ჯერ კიდევ რიგში. კაპიტალურად მოსაწესრიგებელია სკოლების, საბავშვო ბაღების თუ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ერთი ნაწილი. სიძნელეები შექმნილია მატერიალური რესურსების — მოლებისა და თუ ჯის რადიატორების უკმარისობის გამო. საკმაო რაოდენობით არაა სითბოს და საშვავის ხარჯვის საზომი ხელსაწყოები, ფერხდება სამაზუთე მეურნეობის ავტომატიკის, მოწყობილობისა და სხვა დანადგარების გამოყენება.

ყოველივე ეს სადღეისო საზრუნავია, უნდა ვიჩქაროთ, ... „საცაა მოვა ზამთარი, მოვა და მოიკალათებს“...

ბ. პაპუაშვილი.

საპრესტიჟო თუ გადამწყვეტი?

ყოველი საფეხბურთო მატჩი, რანაირადაც უნდა წარმართოს იგი, ცალკეული საინტერესო დეტალების გარდა, რაღაც განსაკუთრებულს გვიტოვებს ხოლმე მეხსიერებაში. თბილისში ადგილობრივი „დინამოსა“ და ყრასნოდარის „ყუბანის“ კვირის შეხვედრიდან ამ მხრივ არ შეიძლება არ გამოვყოთ მატჩის ის ხუთწუთიანი მონაკვეთი, როცა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის კარში დაინიშნა 11-მეტრიანი სჯარიმო. ეს მაშინ მოხდა, როცა „დინამო“ დაწინაურებული იყო (38-ე წუთზე ჩელებაძემ თავური დარტყმით აიღო კრასნოდარელთა კარი), პირველი პენალტი თბილისელთა კარში დაინიშნა (66-ე წუთზე). გაბელიამ ალღო აუღო პლოშნიკს და მის მიერ დარტყმული ბურთი ოსტატურად მოიგერია. 70-ე წუთზე კი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს თბილისელებმა, რაც შენგელიამ უნაკლოდ შეასრულა და „დინამომ“ გზაზედა ანგარიში — 2:0. ორივე შემთხვევაში მცველებმა უხეშად ითამაშეს, თუმცა არც ისე უხეშად, რომ მაყურებელთა აღშფოთება გამოეწვიათ. ყოველივე ძალისმიერი თამაშის სიტუაციებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ წესი ულმობელია: საჯარიმო მოედანზე „რბილად“ იუხეშებ თუ „გადაჭარბებულად“, ოდნავ შეუშლი ხელს გოლის გატანაში მეტოქეს, თუ მთელი კატეგორიულობით, ფეხბურთში უმაღლესი სასჯელი ერთია — პენალტი! სამწუხაროდ, საფეხბურთო მატჩების ზოგიერთი არბიტრი ხშირად სუბიექტურად საზღვრავს და თავისებურ განმარტებას აძლევს პენალტის დანიშვნის წესს. ალბათ ამიტომ არის, რომ ამის გამო ფეხბურთის ქომაგები ხშირად ცდებიან, როცა მსაჯის მართლაცდა სწორ გადაწყვეტილებას უმართებულოდ თვლიან. თბილისში გამართულ მატჩში ყველა დამსწრემ ნახა, მსაჯმა ვ. ლიპატოვმა რა უყოყმანოდ, რა დამაჯერებლად, და რაც მთავარია, სამართლიანად მიუთითა ორივე შემთხვევაში იმ თეთრი წერტილისაკენ, საიდანაც 11-მეტრიან საჯარიმოს ურტყამენ. ასეთია მოკლედ განვლილი მატჩიდან იმ დასახსომებელი ხუთწუთიანი მონაკვეთის სამსაჯო ნიუანსები, რომელთა ცოდნაც ფეხბურთის ქომაგისთვისაც უსარგებლო არ უნდა იყოს...

შეხვედრის 74-ე წუთზე ყიფიანმა დიდებულად გაითამაშა საჯარიმო შენგელიასთან და ამ უკანასკნელმა კრასნოდარელთა კარში კიდევ ერთი ლამაზი გოლი გაიტანა — 3:0. ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს დინამოელებმა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო იოლი მოგება. კრასნოდარელებმა მატჩის დასაწყისშივე რადენიმე სახიფათო მეტევა განახორციელეს, არანაკლებ სახიფათო იყო მათ მიერ დროდადრო წამოწყებული კონტრიერიშები, მაგრამ ბოლომდე ზუსტი ვერ იყვნენ. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სტუმრები ხშირად და ადვილად ქმნიდნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობას.

შევნიშნავთ იმასაც, რომ საკმაოდ ძლიერი ფიზიკური აღნაგობის კრასნოდარელი ფეხბურთელები კორექტული იყვნენ იმ კრიზისულ ვითარებაშიც, როცა მათი გუნდი უმაღლესი ლიგის დატოვების რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეა თუ ისე, ამ მატჩის მოგებით თბილისელებს მეოთხე ადგილი მაინც აქვთ უზრუნველყოფილი. რაც შეეხებათ კრასნოდარელებს, უმაღლეს ლიგაში მათი დარჩენა ერთობ პრობლემური გახდა.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩიკაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, ხიზანიშვილი (ჟვანია), კაკილაშვილი, ჩელებაძე (მელიქია), ყიფიანი, შენგელია.

დუბლიორთა მატჩი მოიგო „ყუბანმა“ — 1:0.

ბოლო ტურის მატჩს თბილისელები მინსკში ადგილობრივ თანაკლუბელებთან გაშართავენ. ნაადრევია რაიმე გარკვეულის თქმა: თბილისელთათვის მხოლოდ სპრესტიჟო იქნება ეს მატჩი, თუ მესამე ადგილისათვის გადამწყვეტი ბრძოლის ეტაპი.

ჯ. ენუქიძე.

● ●

გუშინწინ და გუშინ გაიმართა უ